№ 31 ფებერვალი 8, შაბათი. 1886 ფებერვალი 8, შაბათი № 31

გაზეთი ღირს:

თთვე	მან.	კ.	თთვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაწერად და ყოველ განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზუბოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურს და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1886 წელიწადი

ტფილისი, 7 ფებერვალს

გვცოდინებათ, რომ ამ ბოლოს დროს რუსულმა ჟურნალ-გაზეთობამ დიდი ყურადღება მიაქცია სამოსამართლო წესების ავ-კარგიანობას. მოგეხსენებათ ეგრეთვე ისიც—თუ რა ნაირის კადნიერებით იხსენიებენ მოსკოველნი ყოველსავე ახალს და მათ შორის სამოსამართლო რეფორმასაც,—აწინდელი სამოსამართლო წყობილება «სახელმწიფოა სახელმწიფოშიო», გაიძახიან «მოსკოვის უწყებანი». ისიც იცით რაც სწადიანთ და რასაც თხოულობენ ეს «უწყებანი». მათის სიტყვით აწინდელი სამართალი დასავლეთის ევროპიდამ არის გადმოღებულიო,—თითქო მამულის ღალატს შეადგენდეს სხვა ხალხის მიბაძვა, მისის რიგიანის წესების შემოღება!.. სავალალოდ, ჩვენშიც ზოგიერთნი არ ადგანან ნამდვილს გზას და თუმცა ბანს არ აძლევენ ზემოდ ხსენებულ «უწყებებსა», მაგრამ მაინც მათი მსჯელობაც უმწვერვალესია, ყალბია. ამ მსჯელობას ხშირად ეტყობა ცხოვრების უცოდინარობა და უფრო მეტად ბიუროკრატებური ლიბერალობა, რომელიც ასე უშლის ცხოვრების საჭიროების შეგნებას. ამის მაგალითად ჩვენ ავიღებთ ერთს წერილს—«Разбои и саморасправа на Кавказѣ», რომელიც დაბეჭდილია «Вѣстникъ Европы»-ს უკანასკნელს წიგნში (617—647).

ბ-ნი თ—ს, წერილის ავტორს, საგნად აუღია კავკასიელების ავაზაკობა. ეს საგანი, როგორც მოგეხსენებათ, ეხლაც კი საყურადღებოა, თუმცა მასზედ აქაურს მწერლობაში წინადაც ბევრი თქმულა და ბევრი დაწერილა. ავტორი ამბობს, რომ ავაზაკობა კავკასიელების «ძლიერს ბოროტს» შეადგენსო და ამ ავაზაკობის მოსპობაზედ მიქცეულია მთელი ყურადღება აქაურის მთავრობისაო. ჩვენ გვგონია, რომ მეტად აზვიადებს «ძლიერს ბოროტს», იგი სცდება, როცა მოგვითხრობს, რომ ვითომ მთავრობას რეფორმების შემოღებისთვის აღარა სცალიანო, რადგანაც მისი ძალა და ღონე მიქცეულია მარტო კავკასიის მკვიდრთა სიცოცხლისა და ქონების დაცვაზედაო (619).

მკითხველმაც იცის, რომ ავაზაკობა წინადაც ყოფილა კავკასიაში და უფრო ხშირად, ვიდრე ეხლაა, მაგრამ ეს «ძლიური ბოროტი» სრულებითაც არ უშლიდა რეფორმების შემოღებას და თუ ეხლა ზოგიერთის სანატრელის რეფორმების შემოღება მიტოვებულია, ამის მიზეზი სხვაგან უნდა მოიძებნოს და არა იქ, სადაც ბ-ნ თ—ს ჰგონია—ვითომ მთავრობას დრო აღარა ჰრჩება და მოცლა არა აქვს რეფორმებისთვისაო. მაგრამ არც თვითონ ბ-ნი თ—ი ადგია მტკიცედ თავის აზრს. სხვა ალაგას (629) იგი თითონვე უარჰყოფს წინად თქმულს: მარტო მოხელეობას ჰგონიაო, ვითომ ავაზაკობა კავკასიელისათვის სასახელო საქმე იყოსო, ხელობააო; მოხელეობა ამაში სცდებაო. ამ ნაირი დაულაგებელი მსჯელობა აშკარად ამტკიცებს, რომ ავტორს ჯეროვნად ვერ გამოუკვლევია საზოგადო აზრი კავკასიელების ავაზაკობაზედ. მართალია, იმას მოჰყავს სტატისტიკური ცნობები (618—619), საიდამაც სჩანს, რომ კაცის კვლა, მძიმედ დაჭრა, ცარცვა კავკასიაში უფრო ხშირია, ვიდრე რუსეთის შიდა გუბერნიებში, მაგრამ მეორე ალაგას (633) ავტორი თითონვე არღვევს თავის აზრს: ერთი «მძიმე დანაშაულობა» (крупное преступлене) ერივანის გუბერნიაში და დაღესტანში უფრო ცოტა რიცხვსა ჰხვდებაო, ვიდრე პეტერბურგის და ოდესის სასამართლო ოლქებში, ასე რომ ამ მხრით უბიწოება (нравственность) დაღესტანში მაღლა სდგა, მინამ პეტერბურგის და ოდესის ოლქებშიო!.. ჩვენ არ ვიცით—ხეირიანად მოიხმარა, თუ არა ავტორმა სტატისტიკური მასალა (როგორც მოგეხსენებათ, ამ მასალის მოხმარება ყველასათვის ადვილი საქმე არ არის), მაგრამ ერთი რამე კი ცხადია: თუ ერევნის გუბერნიაში, როგორც ამბობს ავტორი, «დიდრონი დანაშაულობა» უფრო ცოტაა და დაღესტანში კიდევ «უბიწოება» უფრო მაღლა სდგას, ვიდრე პეტერბურგისა და ოდესის სამოსამართლო ოლქებში, მაშ მთავრობას დროც ჰქონია და მოცლაც რეფორმების შემოსაღებლად. გარდა ამისა, არც თვით კავკასია ყოფილა ისე საშიში ქვეყანა, როგორც ავტორი აგვიწერს (617,619). ავტორის სიტყვით, კავკასიელებს აქვთ უფრო ნაკლები ავ-კაცური მიდრეკილება (преступность), ვიდრე რუსეთის ზოგიერთა გუბერნიებში (633—634), მაგრამ მისგან მოყვანილნი სტატისტიკურნი ცნობანი კავკასიაზედ ბევრს არას ამტკიცებენ, რადგანაც 1) კავკასიაში სტატისტიკური ცნობები ისე ვერ იკრიბება, როგორც უნდა და რა ნაირადაც სტატისტიკის მეცნიერება თხოულობს, 2) ხშირად დანაშაულობას, მეტადრე მთიელებში, შინაურულად არჩევენ, «ადათისა» და ჩვეულების ძალით და ამის გამო ბევრი დანაშაულობა მთავრობამ არ იცის, (მაგ. ბჟენი ხევსურეთში, Г. Радде «хевсурія и хевсуры» стр. 104).

რისთვის წარმოუდგენია ავტორს, ვითომ კავკასიელებს, მეტადრე მაჰმადიანელებს, ზოგიერთი დანაშაულობა საქებარ და ვაჟ-კაცურ საქმეთ არა სწამთ? თუ

ფელეტონი

შავი-ქვის საქმე.

(დასასრული *)

თითქმის არც ერთი ადგილობრივი ვაჭარი მარგანეცს პირ-და-პირ სამზღვარ-გარედ არა ჰგზავნის. დ. ზესტაფონში სხედან უცხოელები, რომელნიც მზად მოტანილ ლითონს ყიდულობენ და ჰგზავნიან. მყიდველები სულ სამი-ოთხია. ამ სამ-ოთხ ადამიანის ხელშია ჩავარდნილი ამოღენა საქმის ავ-კარგი. ეჭვი არ არის, ამით ისინი ჰსარგებლობენ და შეძლებისამებრ აკლებენ ფასებს. სამი-ოთხის წლის წინად დ. ზესტაფონში იყიდებოდა 40—50 კ. ფუთი. ახლა კი დაიწია 30—33 კაპეიკამდის. უმთავრესი მიზეზი იქაურის ვაჭრების ანუ მრეწველების უფულობაა. თვითეულ მრეწველს მხოლოდ იმდენი აქვს, რამდენიც საჭიროა ოცი-ორმოცი კუბიკური საჟენი ამოიღოს და ვაი-ვაგლახით დ. ზესტაფონში ჩაიტანოს. ჩამოიტანა, გაავსო ორი-სამი ვაგონი—ამას უეჭველად ფული უნდა. ჩარჩებისაგან (აქ მყოფი უცხოელი ვაჭრები ჩარჩები არიან) არ არის დაფარული მრეწავეთა ამ გვარი გაჭირება და ამიტომ უფრო ხშირად ჩარჩები მრეწველებს, სამუშაოდ და გადმოსაზიდათ საჭირო ფულს წინად (авансъ) აძლევენ და ამ გვარად თვითეული მათგანი, როგორც იტყვან, ხელში უჭირავთ. მრეწველს ამათ იქით გზა არა აქვს. პირ-და-პირ სამზღვარ-გარედ შავის-ქვის გაგზავნას დიდი ფული უნდა და ვაჭრობაშიაც დიდი გამოცდილება. სახარჯო ფული, რაც საჭიროა ბათუმამდის ან ფოთამდის ჩასატანად გემის დასატვირთად და სხვა, ვაჭარს ნაღდად უნდა ჰქონდეს. სამზღვარ-გარეთულ ვაჭრებისაგან (თუ პირ-და-პირ სამზღვარ-გარედ არის გაყიდული) ხვედრ ფულს მიიღებს მხოლოდ შავი-ქვის ძილებისა და ანალიზის შემდეგ. მაშასადამე მრეწველს უნდა ჰქონდეს: ა) ფული მუშების გასასტუმრებლად, ბ) ქვის ზესტაფონში ჩამოსატანად, გ) ბათუმამდის ან ფოთამდის საჭირო ფრახტისათვის, დ) გემის დასატვირთად და ე) სხვა წვრილმან ხარჯისათვის (გემის ფრახტის შეპირება შეიძლება). ასს და ათასს ფუთს ვერ გაჰგზავნით შეიძლება ესე ცოტას გაგზავნაც, მაგრამ ქირასაც მეტს ახდევინებენ და ნავთ-სადგურშიაც ყოველთვის არ არის შავი-ქვის სამზღვარ-გარედ წამღები გემი. ბევრ გემს არ მიაქვს ეს საქონელი, რადგანაც ეშინიანთ სხვა საქონელი არ გაამტვერიანოს, არ გააფუჭოს. მაშასადამე უნდა დატვირთოთ ამისათვის მოცლილი მთელი ცალკე გემი, ე. ი. 100,000—200,000 ფუთი მაინც დაუდოთ.

ქვემოდ მოყვანილ ანგარიშიდამ დაინახავთ რა ჯდება ერთიცა და მეორეც და რა მდგომარეობაშია ამის გამო შავის-ქვის ალებ-მიცემობა.

მრეწველი მადნის იჯარას იხდის, თუ ადგილი სხვისაა და ანგარიშობს თუ საკუთრებაა, ფუთზედ 2 კაპეიკს, ამოღება ჯდება 4 კაპეიკი, მადნებიდამ ს. ჭიათურში ჩამოტანა 3—4 კ.*)

ს. ჭიათურიდამ ზესტაფონში ჩამოტანა 20—25 კაპეიკი ჰსჯდება და სხვა ხარჯი (მწონელებს, ზედამხედველებს და სხვ.) ფუთზედ 2 კაპეიკი, ასე რომ დ. ზესტაფონში ჩამოტანილი შავი-ქვა ჰჯდება ფუთი 31—37 კაპეიკამდე. წელს შავი-ქვა იყიდება 32—33 კაპ. და შარშან კი ბევრს 30½ კაპ. ჰქონდათ გაყიდული, თუმცა თვითონ ზემოდ მოყვანილ ფასად უჯდებოდათ. თუმცა ამ ანგარიშით ზარალის მეტს ვერას დაინახავთ, ნამდვილად კი გამყიდველებს ფუთზედ 2 კ. ხან 3 კ. მოგება მაინც რჩებათ...

ჩვენებურათ კუბიკური საჟენი 27 კ. არშინია, ამათებურათ კი 30—32 კ. არშინია; ჩვენებურად არშინი 16 ვერშოკია, მათებურად 18-ია; ჩვენებურად ურმით ჩამოტანილი საპალნე სიმძიმით 30 ფუთი 30 ფუთს უნდა უდრიდეს, მათებურად კი 30 ფუთი 20, ან 22 ფუთზედ მეტი არ უნდა იყოს.

ამ გვარი ანგარიში ადგილობრივ ვაჭრებზედ უკედ იტალიის და საფრანგეთის ვაჭრებს სცოდნიათ. შარშან რკინის გზის ჟანდარმი უთვალყურებდა ამ გვარ უწესოებას და ბევრსაც შეუდგინა პროტოკოლი და მისცა სამართალში. ამის მნახველი ინგლისის ვაჭარი, თვითონ საფრანგეთელი—ამტყუნებდა ჟანდარმს და მასთან მთავრობასაც. იგი ამტკიცებდა, რომ ვაჭრობა ყველგან თავისუფალი უნდა იყოს, მთავრობა არ უნდა ერეოდეს ამ გვარ საქმეებშიო(?), თორემ ვაჭრობა რიგზედ არ წავაო(?). მყიდველების, ანუ ჩარჩების მოგება გაცილებით მეტია. ესენი აქ ყიდულობენ სულ ბევრი რომ ვსთქვათ 33 კაპეიკათ. ბათუმში ან ფოთში წაღება და გემების დატვირთვა უჯდებათ ფუთი 6—9 კ., ზღვით წაღება უჯდებათ ფუთი 10—12 კ. სხვა ხარჯი ფუთზე 5 კ. სულ 55—59 კაპ., 100,000 ფ. გადატანა, გემის ფრახტის გარდა 100,000 ფუთი—ფუთი რომ 45 ვიდრე 49 კაპეიკამდე ჩავაგდოთ 45,000 მანათი ვიდრე 49,000 მანათამდე დაჯდება, 200,000 ფუთის გადატანა—ორი ამდენი, ანუ 90,000-დამ 98,000 მანეთამდე. იქაური ფასები: თუ მადანი—ლითონი 55%-ზედ ნაკლები არ არის, ფუთზედ 65—68 კაპეიკია და 55%-ზედ მეტია, თვითეულს მეტ %-ზედ 1½ შილინგს უმატებენ ყოველს 62 ფუთსა 1 გირვანქასა და 11 მისხალზედ. რადგანაც აქაური შავი-ქვა ხშირად 55%-ზედ მეტი გამოსულა და არა ნაკლები, ჩარჩი იგებს რვიდამ ათ კაპეიკამდე ფუთზედ.

⁂

ამოღენა შავი-ქვა მიდის სამის გზით. «დიდ-წიფელი»-ს გზა მადნებამდის 35 ვერსია; მეორე— ჭიათურის გზა, ყვირილის პირს მიმავალი 42 ვერსია—მადნები კი, ამ სოფლიდამ 3—7 ვერსზედ არის და მესამე ულევის გზა 55 ვერსია. სწორე მოგახსენოთ ამ სამ გზაში არც ერთი გზა არ ვარგა. პირველი (35 ვ.) თუმცა მოკლე გზაა, მაგრამ დიდი აღმართები აქვს და გარდა ამისა სამოთხ ადგილს ისეთი ტალახები იცის ცოტა წვიმის შემდეგაც, რომ საქონელს ცარიელის ურმის თრევაც კი უჭირდება, მაგრამ კი ფართო, გამლილი და გრილი გზაა. მეორე გზა (42 ვ.) გაყვანილია ყვირილის ხეობაში. ამ გზის ერთ მხარეს უშველებელი მთაა, მეორე მხარეს ყვირილა ჩამოუდის და შემდეგ ისევ მთა უდევს. გზა ბევრს ადგილას ვიწრო და საშიშია. თუმცა პირველ გზაზედ უფრო ვაკეა, ხოლო ზაფხულში აუტანელი სიცხე იცის. მესამე გზა (55 ვ.) მეტად გძელია. გარდა ამისა ამ გზით მომსვლელმა ღრმა მდინარე ძირულა უნდა გამოიაროს. წვიმების შემდეგ ძირულა ისე ადიდდება ხოლმე, რომ შეუძლებელია გამოსვლა. სამივე გზის უმთავრესი ნაკლულევანება საძოვარის უქონლობა და ტალახებია.

შავი-ქვა განსაკუთრებით ადგილობრივ გლეხებს გადმოაქვთ. მხოლოდ ამ უკანასკნელ ხანებში დაიწყეს ქვის ზიდვა ქართლელებმაც ურმებით და ახალციხელებმა და აჭარის გამაჰმადიანებულმა ქართველებმა—ცხენებით. როგორც ქართველებს, აგრეთვე აჭარლებს და ახალციხელებს უძნელდებათ ქვის ზიდვა საქონლის საჭმელის უშოვრობისა ანუ სიძვირისა და გზების უვარგისობის გამო. იმერული ხარები სიმინდის ფუჩეჩს

---

*) «ივერია» № 30, 1886 წ.

*) ს. ჭიათურა მდებარეობს ყვირილის წყალის და ყვირილის გზის პირზედ. გარდა სს. რგანისა, პერევისისა და შუქრუთისა, დანარჩენ სოფლებიდამ შავი-ქვა ჯერ ს. ჭიათურაში ჩამოაქვთ და აწყობენ იქაურ საწყობებში და შემდეგ ჭიათურიდამ სხვა ურმებით და ცხენებით მოაქვთ დ. ზესტაფონში. რგანის შავი-ქვა მოაქვთ, უფრო მოკლე, «დიდ-წიფელის» გზით. პერევისისა, შუქრუთისა—ყველა ზედ გრძელის ულევის გზით.

შოტლანდიასა და ირლანდიაში ისევ მეჩვიდმეტე საუკ. ხალხს ავაზაკობა სასახელო საქმეთ მიაჩნდა (629), მაშ კავკასიელს მაჰმადიანელებსაც ავაზაკობა რომ ისე მიაჩნდეთ, საკვირველი არა იქნება-რა. სწორედ ასეც არის. ყაბარდოში, მაგალითებრ, კაცის მოკვლა სულ უბრალო საქმეზედ, ქალამნის თაობაზედაც კი ჩვეულებრივი მოვლენაა. იქ ხალხს ეხლაც ახსოვს ერთი საშინელი ამბავი: საცერზედ ორ მეზობელს ჩხუბი მოუვიდათ და ამ ჩხუბში ხუთასი ქალი და კაცი მოკვდა. ყაბარდოელის სიამაყეს, თავ-მოყვარეობას და გულ-ფიცხობას საზღვარი არა აქვს,—სულ უბრალო მიზეზი საკმაოა, რომ ხანჯალი იშიშვლოს, თოფს ხელი წამოავლოს *). გაცარცვა, ქურდობა და სხვა ამ გვარი დანაშაულობა ყაბარდოში ეხლაც კი საქებარი საქმეა. დიდი ხანი არ არის მას აქედ, როცა ჩვეულება ნებას აძლევდა ყაბარდოში გადასახლებულს შვიდი წლიწადი ექურდნა; დედები ბალღებს აკვანში ქურდობის «ნანას» დამღერდნენ. შესანიშნავი ის არის კიდევ, რომ უზდენებსა და თავადებსაც ქურდობა სათაკილო საქმეთ არ მიაჩნდათ. ეხლაც ასეა ყაბარდოში**). ამ მოვლენის მიზეზი ეკონომიური მდგომარეობა როდია—მდაბიო ხალხზედ ნაკლებად არც თავადები ქურდობენ. აქ მიზეზი სულ სხვაა —ხალხის ხასიათი და ჩვეულება, მისი დაბალი ზნეობა, გონების გაუხსნელობა. მხოლოდ ამ ჩვეულებით უნდა აიხსნას ერთი მართლაც და მოსაწონი მოქმედება ყაბარდოელისა: ყაბარდოში ეხლაც დიდ დანაშაულობათ ითვლება სახლის და ქონების ცეცხლით დაწვა. კიდეც ასე იშვიათია იქ ეს ბოროტ-მოქმედება***).

ბ-ნ თ—ს არა სჯერა, რომ კავკასიელი მთიელი ადვილად უცქერის დანაშაულობას და თავის აზრის დასამტკიცებლად მოჰყავს ჯარიმა: ჯარიმის გადახდა მთიელისათვის გატოკრგაზედ ნაკლები სასჯელი არ არისო (630,631). ადვილია, თუ ძნელი— ეს არაფერს ამტკიცებს. საქმე ის არის, რომ თვით ეს ჯარიმა გვიჩვენებს, რომ კავკასიელი მთიელი იურიდიულად დაბალს წერტილზედ სდგას და დანაშაულობა ადვილ საქმეთ მიაჩნია. ისტორია ცხადად ამტკიცებს, რომ, როდესაც ხალხი იურიდიულად წარმატებულია, მისი მოქალაქობრივი და სახელმწიფოებრივი აზრი იზრდება, მწიფდება, მაშინ ჯარიმაც ჰკარგავს ნელ-ნელა თავის ძალას, მნიშვნელობას, მაშინ მის ადგილს სხვა სასჯელი იჭერს. და თუ ეხლაც ჯარიმა მთიელისათვის ჩვეულებრივი სასჯელია, ეს იმიტომ, რომ დანაშაულობაც, იმის აზრით, კერძო ბოროტ-მოქმედებაა და მაშასადამე ადვილი საქმეა. ზოგიერთა კავკასიელი რომ ასე უცქერის დანაშაულობას, ამას მაგალითები ამტკიცებენ. ყაბარდოში თავადს რომ თავადი მოეკლა, მკვლელს სულ მცირედი ჯარიმა უნდა გადაეხადნა. მას, ჩვეულების ძალით, თავის სახლში უნდა წაეყვანა მოკლულის ახლო ნათესავი ყმაწვილი, გაეზარდა იგი, მერე მიეცა თოფ-იარაღი, ორი ცხენი. ჯარიმად ეს იყო დადებული! მაშინ ხომ სულ არას იხდიდნენ, როცა არა-თავადი თავადს მოჰკლავდა (Сборникъ стр. 28—29). დიდი ხანი არ არის, რაც ასე იყო ყაბარდოში. განა ყაბარდოელს დანაშაულობა ადვილი საქმე არა ჰგონებია?—ავტორის არც მეორე აზრი არის საფუძვლიანი, მისაღები. ის ამბობს, რომ ტყუილი მოწმობა ისრე ხშირი არ არის კავკასიელებში, როგორც ჰფიქრობენო (631); ეხლა თუ მოწამე ტყუილად ფიცულობს, ეს იმიტომ, რომ მოწამე დარწმუნებულია სასჯელი თანაბარი არ იქნება დანაშაულობისაო; რუსული კანონები შეუთანხმეთ ხალხის შეხედულობას, შემოიღეთ დაფიცებულთა სამართალი (*Судъ присяжныхъ*) და მაშინ შემცირდება როგორც ტყუილი მოწმობა, ისრე ბრალეულთა დაფარვაო (632).

ურბნელი

---

*) Сборникъ свѣдѣній о Кавказкихъ Горцахъ, Вып. IV статья Грабовскаго „Очеркъ Суда и уголовныхъ преступленій въ КабардинскомъОкругѣ“, стр. 20—34.

**) *ibid*, стр. 44—57.

***) *ibid*, стр. 34—35.

ახალი ამბავი

⁂ ჩვენ გვაცნობებენ, რომ ქ. ბაქოში ბ-ნის ნობელის ქარხანაში ნავთითა ჰსცხვება პური და იხარშება საჭმელები, ისე რომ არც სუნი მოსდევს და არც ქვარტლიო: ერთი ამ გვარი აპპარატი საჭმელების ხარშვისათვის ფერნსტრემის აპპარატია და გამართულია ჩვენს ქალაქშიაც «ტფილისის პრობირნი პალატაში». აპპარატის მოწყობილობა სულ სადაა. უნდა ჩაისხას შიგ ნავთი და დაიდგას პლიტის ქვეშ. ექვსის კაცის სადილის მოსახარშავად 15—20 გირვ. ნავთია საჭირო.

იმედიაო, გვწერს ამის შემატყობინებელი, რომ თუ ეს აპპარატი გავრცელდა, მაშინ მაინც ბოლო მოეღება ტყეების უწყალო ჩეხას, ქალაქების ახლო-მახლო მაინც—მით უმეტეს, რომ ამ აპპარატით სახლების გათბობაც შეიძლებაო.

⁂ სოფ. ხამში, გვწერენ ჩვენ,— საშინლად არის გავრცელებული წითელაო. სახლი არ იქნება, რომ წითელით ორი ან სამი ავად-მყოფი არ იწვესო; წითელის ანგელოზებმა (აქ ასე უძახიან ამ ავად-მყოფობას) სამოცის წლის მოხუცებიც კი ჩააწვინეს ლოგინში. ჯერ-ჯერობით შვიდი სული იმსხვერპლა: ხუთი ყმაწვილი და ორიც ახალ-გაზდანი, თითქმის ახალ-ჯვარ-დაწერილნი, ერთი ქალი და ერთიც ვაჟი, ორივე ერთად-ერთი მემკვიდრენი ოდესმე დიდის ოჯახებისა. ავად-მყოფობა გააძლიერა სიცივემ და ავად-მყოფების მოუვლელობამ. ჩვენდა სამწუხაროდ ექიმი სულ არა გვყავს. თუმცა გვყავდეს ამ შემთხვევაში არას გვარგებს, რადგან ჩვენ ხალხს თითქმის კანონადა აქვს მიღებული, რომ ეგრედ-წოდებულ გამოსაყარს სნეულობას წამლობა აწყენსო. ამის-გამო ავად-მყოფის ბედ-იღბალი არის დამოკიდებული მისის სხეულის ძალაზედ.

⁂ იქიდამვე გვწერენ: წელს იმდენი ღვინო მოგვივიდა, რომ ამ წარსულის თხუთმეტის წლის განმავლობაში არც ერთ წელს არ მოსულა ამდენი, მაგრამ ფასი არა აქვს და მყიდველიც ცოტაა; იმისთანა თვისების ღვინო, რომელიც წარსულ წლებში ათ თუმნად იყიდებოდა, ეხლა ხუთ თუმანზე მეტად არ იყიდებაო.

⁂ ფოთიდამ «Новое Обозрѣніе»-ს ერთს საზარელს ამბავსა სწერენ: ოსმალეთში, რომელიც თავის თავს განათლებულს სახელმწიფოთა სთვლის, აქამდინ ქალებსა, როგორც სავაჭრო საქონელს, ჰყიდიან და ყიდულობენ. გუშინ, ორს თებერვალს, სტამბოლიდამ მოვიდა ფოთში გემი «ანატოლია» უცხო ქვეყნების საქონელით დატვირთული. გემზე სხვათა შორის ერთი ახალ-გაზდა ლამაზი ქალიც ყოფილა, რომელიც ერთს სპარსელს მოჰყავდა თურმე. გაჩერდა თუ არა გემი ნავთ-სადგურში, იქიდამ ერთი საშინელი ტირილი და ხმაურობა მოისმა, ხმა-მაღლივ სტიროდა ერთი ახალ-გაზდა ქართველი ქალი, რომელიც ამ რამდენისამე წლის წინედ თურმე რაღაცა შავს ბედს სტამბოლში გადაეგდო და იქ ერთს «ავ-საქციელს სახლში» მომწყვდეულიყო. ამ ორის თვის წინედ ამ სახლის პატრონ-ურიას ეს საწყალი ქალი ერთს სპარსელისათვის მიეყიდნა 800 მანეთად. ამ ახალს პატრონს ქალი სპარსეთში წამოუყვანია და იქ თურმე ამის თათრულს სჯულზე მონათვლა სდომებია. რამწამს გემი ფოთში მოვიდა და საწყალმა ქალმა თავის სამშობლო დაინახა, გული ისე ამოუჯდა რომ ველარ მოითმინა და საშინელი ტირილი დაიწყო. ტყუილად ცრემლებსა ჰღვრიდა და ეხვეწებოდა თავის პატრონს სპარსელს, ნება მიეცა ქალს თავისი ნათესავები

არიან დაჩვეულნი, ბალახობის დროსაც თითქმის სიმინდის ფუჩეჩს აჭმევენ, რადგანაც ბალახი იშვიათია. ქვის მზიდავი საშუალება კი მცირეა. აი მიზეზი იმ საკმაოდ დიდის ფასებისა, რომელსაც იხდიან შავი-ქვის ზესტაფონამდის ჩამოსატანად: მართალია, ყოველი გლეხი, აზნაური თუ თავადი*), თავის ერთ უღელ საქონელს უმატებს კიდევ ერთ ორს უღელს; ერთ ცხენს უმატებს კიდევ ორ-სამ ცხენს და ყველა ამას სულ ქვის ზიდვაში მოგებულ ფულებით, მაგრამ მომატებასაც საზღვარი აქვს. გლეხს არ შეუძლიან მოუმატოს იმაზედ მეტი, რამდენის სამყოფიც საკუთარი საჭმელი აქვს. საქონელს ჰკვებვენ თავიანთ ყანებიდამ შემოსულ სიმინდის ჩალით. იშვიათად თუ გაჰყიდის ვინმე, ყველა თავ-თავის საქონელს ანდომებს.

შარშან გადმოზიდეს 2,602,000 ფ., წრეულს, თუ გზები ასე დარჩა, 3,000,000 ფუთზედ მეტს ვერ გადმოზიდვენ, თუმცა მოთხოვნილება 4,000,000-ზედ მეტისაა. სწორედ ამ მოთხოვნილებამ გააღვიძა აქაური მრეწველები. ამ მოთხოვნილებამ დაჰბადა მათში გზების გაკეთების სურვილიც, ქურდობისა და მატყუარობის ხალისიც დაუკარგა აქაურებს. აქაურ გუბერნატორსაც მოელაპარაკნენ, მთავარ-მმართებელსაც მიართვეს თხოვნა, რომელშიაც ითხოვეს: ა) დ. ყვირილიდამ ს. ჭიათურაში რკინის-გზის გაყვანა*); ბ) ფოსტის განყოფილების დაარსება ჭიათურაში; გ) ტელეგრაფის გაყვანა; დ) საზოგადოთ შავი-ქვის წარმოებაზედ თვალ-ყურის დევნა და სხვა ამ გვარი. შეიკრიბნენ, ამოირჩიეს რამდენიმე პირი, რომელთაც მიანდვეს შეედგინათ მოხსენება შესახებ იმისა, თუ როგორ და რა გზით შეიძლება შავი-ქვის საქმის უკეთესად და წესიერად წარმოება. კომმისია რამდენჯერმე შეიკრიბა და შეადგინა მოხსენება, საიდამაც მომყავს საყურადღებო საგნები. «რადგანაც მადნის მრეწავეთა კერძო საზოგადოებას კინონი არავითარი თვით მმართველობის უფლებას არ აძლევს და მათი დადგინება კანონიერად ვალდებულს არა ხდის არც ერთ წევრს ამ კერძო საზოგადოებისას, ჩვენ ვთხოვოთ მთავრობას, რათა მოგვცენ ნება მოვახდინოთ კრება (СЪѢЗДЪ), სადაც შევიძლებთ ჩვენ საქმეზედ ლაპარაკს და ყველა დადგინების შესრულების კანონით მოთხოვნას თვითეულ შავი-ქვის მრეწავეებისაგან. მაშინ კრებაზედ ამოირჩევიან რამდენიმე პირნი, რომელთაც მიენდობათ ამ საქმის მეთვალ-ყურობა. მაგრამ არის იმ გვარი საგნები—ამბობს შემდეგ კომმისია თავის მოხსენებაში,—რომელსაც ეხლავ უნდა ხელი შეეწყოს და მოემართოსო. აი ის საგნები: 1) შავი-ქვის მადნებიდამ დ. ზესტაფონს მომავალ გზების შესწორ-შეკეთება; 2) პოლიციის პრისტავის ყოლა ს. ჭიათურაში და 3) სამთო შტეიგერის ყოლა იმავე სოფელში.

ამისთვის საჭირო ფული:

1) პოლიციის პრისტავის და მისი ჩაფრების ჯამაგირი, სადგური და სხვ. ხარჯი—2,000 მ. 2) სამთო შტეიგერის ჯამაგირი—1,000 მ. გარდა ამისა საჭიროა ვიქონიოთ 1,500 მან. სხვა ხარჯისათვის, რომელიც შეიძლება აღმოჩნდეს ამ 1885 წლის განმავლობაში.

«ამ 1886 წ. გამოვიღოთ 2 მანათი ვაგონზედ (ვაგონით 600 ფ. იგზავნება), რომელიც დაახლოებით შეადგენს 10,000 მ., ამით დავფაროთ ზემოთ აღნიშნული ხარჯი და დანარჩენი ფული გზის კეთებას მოვანდომოთ. რადგანაც საქმე ახლავე თხოულობს ამ ფულს, და ჩვენ კი ზემოთ ხსენებული 10,000 მ. მხოლოდ ამ 1886 წლის დამლევს გვექნებაო, ახლავე მოვაგროვოთ ჩვენს შორის 4,000 მან. და ამ ფულით შევუდგეთ ჩვენ საქმესაო. ახლავე ვთხოვოთ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს და კავკასიის სამთო გამგეობის მართველს, რათა მათ დაგვინიშნონ: პირველმა—პრისტავი და მეორემ—შტეიგერი. გარდა ამისა ვთხოვოთ მმართებლობას, სოფლის ხალხი გამოიყვანოს ამ გზებზედ სამუშაოთა და რაც ფული მოუნდება ჩვენ ვიკისროთო.

საჭირო ფულს აგროვებენ და ვერ მოუგროვებიათ. ბოლოს თავი ჯერ არ უჩანს.

⁂

1885 წლის დამლევს აქ მობძანდა მთავარ-მმართებელი, რომელსაც, როგორც ზევით მოგახსენეთ, სხვათა შორის რკინის-გზის გაყვანა სთხოვეს. მათმა ბრწყინვალებამ აღუთქვა მთხოვნელებს, რომ ყოველს ღონის-ძიებას იხმარებს იმათის სურვილის განსახორციელებლად. დიდხანსაც არ ალოდინა. მათი ბრწყინვალების წაბძანების ცოტა ხნის შემდეგ მოვიდნენ, გზის დასახედად და გასაზომად, «კავკასიის აქეთა მხარის რკინის-გზის ამხანაგობი»-საგან გამოგზავნილნი ინჟინერები. გზის გაყვანა ყვირილის პირზედ, ახლანდელ სოფლის გზაზედ, უნდათ. როგორც ამბობენ, პროექტიც შეუდგენიათ და წარუდგენიათ მთავრობისათვის, აქაურ ვაჭრებს იმედი აქვთ, მალე ეღირსებიან რკინის-გზას და გახარებულები არიან. რკინის-გზა დიდ სარგებლობას მოუტანს მხარესო, ამბობენ აქაური ვაჭრები. საზოგადოდ როცა ამბობენ «ამა და ამ მხარეს სარგებლობას მოუტანს»-ო, მგონია მხედველობაში უნდა ჰყავდეთ უმრავლესობა და არა ცალკე კაცი. მხოლოდ ასე მესმის იმ სიტყვების მნიშვნელობა და თანხმად ამისა თამამად ალვიარებ, რომ დ. ზესტაფონიდამ ს. ჭიათურაში შავი-ქვის გადმოსაზიდად გაყვანილი რკინის-გზა მხარეს სარგებლობას არ მოუტანს და ბევრს-კი ავნებს, ვეცდები ჩემი აზრი დავამტკიცო.

მთელ შორაპნის მაზრაში 224 სოფელია და სცხოვრობს 109,685 სული ორივე სქესისა*). ამათ ჰყავთ 5,840 ცხენი**). ამ რიცხვიდამ $^{1}/_{4}$ ეკუთვნის თავადიშვილებს და აზნაურშვილებს. ამაში ჯოგის ცხენებიც ურევია და საჯდომიცა, რომელთაც შავი-ქვა არ გადმოაქვთ. მაშასადამე მუშაობს, 5840 — 1,460=4,380 ცხენი, რადგანაც მადნებიდამ ს. ჭიათურამდის ურმები ვერ დადის გზების ვიწროობისა და დიდ აღმართებისა გამო, აქ უფრო ბევრი ცხენი მუშაობს, ვიდრე სამსავე გზებზედ ერთად. სამს გზაზედ მუშაობს დაახლოებით $^{1}/_{4}$ ანუ 1,095 ცხ. დანარჩენი $^{3}/_{4}$ ანუ 3,285 ცხ. ეზიდება ქვას მადნებიდამ ს. ჭიათურაში. რქიანი ანუ «სისხლიანი» საქონელი 27,000. ამ რიცხვიდამ იქნება $^{1}/_{6}$ ანუ 4,500 არ ეზიდებოდეს ქვას, დანარჩენი $^{5}/_{6}$ ანუ 22,500, ე. ი. 11,250 უღელი ეზიდება «დიდ წიფლის», «ყვირილის» და «ულევის» გზებით. ჩვენ ვიცით, რომ 1885 წ. გადმოზიდულ იქმნა 2,602,000 ფუთი. ამ რაოდენობის გადმოსატანი გადახდილია ფულად (ფუთზედ 22 კაპ. რომ ვიანგარიშოთ) 572,440 მან. ამ ფულიდამ 500,000 მანათი მაინც ერგოთ შორაპნის მაზრის გლეხებს, დანარჩენი შეხვდებოდათ ქართლელ მეურმეებს და ახალციხელ და აჭარელ ჩალვადრებს.

ზევით მოგახსენეთ: შორაპნის მაზრაში 109,685 სული ანუ 14,490 კომლი მცხოვრებელია. რასაკვირველია, ამათ შორის არიან აღწე-

---

*) წარმოიდგინეთ, ზოგიერთი აქაური თავადებიც კი ეზიდებიან ქვას. თვითონ მისდევენ ურმებს, წონაზედ ესწრებიან, ფულს იღებენ და ბრუნდებიან, მაგრამ თავიანთი უმთავრესი მოვალეობაც არ ავიწყდებათ—მარცხენა ხელში უეჭველად მიმინო უჭირავთ. არა ჰგავან კახელ მცონარა თავადიშვილებს!

*) რკინის გზის გაყვანის შესახებ ცოტა ქვემოთ მოგახსენებთ ორიოდე სიტყვას.

*) იხილეთ კავკასიის კალენდარი, ეს რიცხვი კამერალურ აღწერის ცნობებიდამ არის ამოკრეფილი. ბ. В. Л. თავის წიგნაკში, რომელიც შარშან დაიბეჭდა, ამბობს, შორაპნის მაზრაში 14,490 კომლია. ეს ცნობა ახალია და მაზრის უფროსისაგან არის შეკრებილიო.

**) იქვე, ე. ი. კავკ. კალ. ეს რიცხვი ამოღებულია 1882, 1883 წ. პოლიციისაგან შეკრებილის ცნობებიდამ.

მაინც ენახა. მაგრამ გულ-ქვა სპარსელი ყურს იყრუებდა და მარტო პირ-უცრხვად იძახდა: როგორ გაუშო, ძვირად ჰმიზის, 800 მანათი ნაღდი ფული მიეეციო». ყველა, ვინც კი აქ დაესწრო, ამ ქალს გულ-მტკივნეულობით გამოესარჩლა, მაგრამ სპარსელის გული ვერაფრით მოალბეს. ბოლოს გემის კომანდირმა ძალით წაართო სპარსელს ქალი და პოლიციას გარდასცა.

⁂ გაზ. «*Кавказъ*»-ს ფოთიდამა სწერენ, რომ იქ ამ ჟამად საშინელი ქარ-ბუქია. ასეთი ქარიანობა არ გვახსოვსო, იწერებიან ფოთელები: ამას წინად მთელი ყავარი მოაგლიჯა დამოჟნის შენობას და ამის მიზეზით დამოჟნა სხვა სახლში გადავიდა. იმ შიშით, რომ ცეცხლი არ გაჩნდესო, ფოთელები ცივს ოთახებში სხედან შეკეტილები და ქარის გამო ცეცხლს არ ანთებენ თურმე. დარის ხშირად ცვლილებისა გამო, ბევრი გაციებით ავად-მყოფობსო, მაგრამ, საბედნიეროდ, სიკვდილით ჯერ არავინ დაზიანებულაო.

⁂ იმ 80,000 მანათს რომელიც მართებლობისაგან იმერეთის, გურიისა და მენგრელიის ეპარქიის სამღვდელოებას ეძლევა გარდაწყვეტილია ამ წელს მიემატოს კიდევ 15,000 მან. 1887 წლიდგან ხსენებულს ეპარქიების სამღვდელოებას სახელმწიფო ხაზინიდგან მიეცემათ წელიწადში 111,001 მან. («*Кавказъ*»).

ნაკვესი

ერთმა გურულმა ჰკითხა იმერელს გლეხსა:

— ვისა კაცი ხარო?

იმან თავ-მოწონებით უპასუხა:

— ჩემის თავისაო!

— კაი შენ დაგემართოს, კარგი ბატონი შენა გყოლიაო! მიუგო გურულმა.

რ

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ხან მტერი მოყვარეზე უკეთესია: შენ ნაკლულოვანებაზე მაინც დაგაფიქრებს! ვენელი კორრესპონდენტი გაზ. «Русскій Курьеръ»-ისა ამბობს, რომ ბისმარკის სიტყვამ ავსტრიელ პოლიაკებს დიდი სამსახური გაუწიაო:

> ავსტრიელი პოლიაკები და საზოგადოთ სლავიანები აღარ ეძლევიან ეხლა იმ სასიამოვნო ოცნებას; აღარ იტაცებს ის იმედი, ვითომ გერმანიის გაძლიერება ხელს შეუწყობდა და შეძლებას მისცემდა, სლავიანებს თავისუფლება მოეპოვებინათ. ბისმარკის უსამართლობა პოლიაკების მიმართ, მისი ძალ-მომრეობა მეხივით თავზე დაეცათ ავსტრიის სლავიანებს. ესენი მხოლოდ ეხლა მიჰხვდნენ, რომ ბისმარკისა და სლავიანების ფიქრები ძალიან შორი-შორს არიან; დარწმუნდნენ, რომ სლავიანების თავისუფლებისა და გერმანიის გაძლიერების შორის საერთო არაფერია; სლავიანებმა შეიგნეს, რომ ამ ორ ისტორიულ მიმდინარეობას შუაში დიდი მანძილი უდევს,—დიდი განხეთქილება და ამ განხეთქილების მოსპობას ვერც მთავრობა შესძლებს, ვერც დიპლომატია...

დიდი ხანია, ავსტრიელს პოლიაკებს და საზოგადოდ სლავიანებს ასე უნდა ეფიქრათ, თორემ სადაურია: პეტრე არ ვარგა, ივანეს მივმართოთო, ივანე პეტრეზე უარესი გამოდგა, ახლა თევდორეს ხელი უნდა გავუშვიროთო! არც პეტრე, არც ივანე და არც თევდორე სხვისთვის თავს არ შეიტკენენ, სხვის საქმეს ხელს არ შეუწყობენ!..

⁂

ჩვენს მკითხველებს ერთხელაც ველაპარაკეთ ჩვენებურს ბ-ნ ფელდმანზე, რომელიც პეტერბურღში «გულთ-მისნობდა», სხვის იდუმალს აზრებს ტყობილობდა. ეხლა აი კიდევ რას იწერებიან პეტერბურღის გაზეთები ამავე «გულთ-მისნის» შესახებ. ერთს პეტერბურღის ექიმთან შეყრილან რამდენიმეს უმაღლესი სასწავლებელის ქალი. ამ ექიმთან ფელდმანიც ყოფილა მოწვეული. ფელდმანს გამოუყვანია თურმე რამდენიმე ქალი, დაუძინებია, ულაპარაკებია და შეკვეთილი ყველაფერი აუსრულებინებია. აი სხვათა-შორის გაზეთ «Новости»-ში რა სწერია:

> გამოიყვანა ერთი ქალი, დააძინა და თან დაარწმუნა, რომ ქალი ვითომ ზოოლოგიურ ბაღშია, საცა ცხოველები ჰყავთ.
>
> — მითხარით, რას ჰხედავთ ბაღში? ჰკითხა ფელდმანმა ქალს.
>
> ქალმა, სრულებით დამშვიდებულმა, თვალ-ახელილმა, უამბო, რომ ლომებს, ვეფხვებს და დათვებსა ვხედავო.
>
> ამ დროს იატაკზე სტოლის კოვზი დააგდეს. ფელდმანმა ხელი გაიშვირა ამ კოვზისკენ და ჰკითხა ქალსა:
>
> — იატაკზე რაღასა ჰხედავთ?
>
> ქალი საშინლად შეშინდა, ოთახის კუთხეს ეცა ერთბაშად და შეჰკივლა:
>
> — ვინა ხართ, მომაშორეთ—ეს ხომ გველიაო!
>
> ამ დროს ფელდმანმა ქალს კეფაზე მაგნიტი მიაკარა;—ქალი მაშინვე დამშვიდდა, გამოფხიზლდა და დაინახა, რომ ოთახშია და არა ზოოლოგიურ ბაღში.
>
> — ეხლა ხომ ჰხედავთ, რომ ეს გველი კი არ არის, კოვზია?—ჰკითხა ფელდმანმა.
>
> — ვხედავ.
>
> — აბა ეს კოვზი ეხლა ხელში აიღეთ? ქალმა აიღო. ამ დროს კეფიდამ მაგნიტი ისევ მოაცალეს. ქალმა მაშინვე საშინელის ხმით შეჰკივლა და კოვზი ხელიდამ გადააგდო:
>
> — ღმერთო ჩემო! ამ საზარელს გველს როგორ მაწვდით?
>
> —ეხლა რაღასა ჰხედავთ?—ჰკითხა ფელდმანმა და ჭერისაკენ თითი გაიშვირა.
>
> — ჩიტები დაფრინამენ... აგერ რა პატარა, ლამაზი ჩიტებია!..
>
> — აბა ერთი დაიჭირეთ...
>
> ქალი ჰაერში მითამ და ჩიტების ჭერას მოჰყვა და ბოლოს ისეთი სახე მიიღო, ვითომ კიდეც დაიჭირა.
>
> — აი კიდევ ერთი ჩიტი, — უთხრა ფელდმანმა და ქალს ხელში პურის ნატეხი მიაწოდა. ქალმა გაუშო ვითომ წინად დაჭერილი ჩიტი და პური ჩამოართო.
>
> — ვიშ, რა მშვენიერი ჩიტია!.. დაუწყო ქალმა ალერსი პურს.
>
> კეფაზე კიდევ მაგნიტი მიაკარეს.
>
> — ეხლა რაღა გაქვთ ხელში?
>
> — პური.
>
> — აბა მოჰკბინჩეთ.
>
> ქალმა მოჰკბინჩა. ამ დროს კეფიდამ მაგნიტი მოაშორეს და ქალმა საშინელის ცრემლის ღვრით ტირილი მოჰრთო.
>
> — რა გატირებთ?—ჰკითხა ფელდმანმა.
>
> — როგორ არ ვიტირო, მიუგო ქალმა; ამ საწყალ ჩიტისათვის თავი რაზე მომაკვნეტინე?
>
> კეფაზე მაგნიტი მიაკარეს—ქალმა გადაიხარხარა, მოაშორეს მაგნიტი—ქალმა ისევ ტირილი დაიწყო.

⁂

მეორე მაგალითი უფრო საინტერესო იყო. ფელდმანმა მეორე ქალი გამოიყვანა, დააძინა და თან უთხრა: წარმოიდგინეთ, რომ ჩვენ ოდესაში ვართ; წარმოიდგინეთ ამასთან, რომ თქვენ ქალი კი არა, ახალ-გაზდა ვაჟი ხართ, მე კი, ფელდმანი, ახალ-გაზდა ქალი ვარ. ქალმა მაშინვე თავისი თავი ახალ-გაზდა ვაჟად წარმოიდგინა და ფელდმანი, ვითომ ქალი, ზღვაზე მიიპატიჟა, ნავით გავისეირნოთო.

> — მე ზღვისა ძალიან მეშინიან, ეუბნება ფელდმანი.
>
> — ნუ გეშინიანთ, ეუბნება ქალი, მე ცურაობა კარგად ვიცი, და თუ რამ უბედურება შეგვემთხვა ზღვაზე, ჩემი იმედი იქონიეთ.
>
> — მაშ კარგი, წავიდეთ.
>
> ქალი ისე მოძრაობს, თითქო მართლა ნავში ჰდება და ხელებს ნიჩბებივით უსვავს.
>
> — შეჰხედეთ, ტალღა პირ-და-პირ ჩვენის ნავისაკენ მოდის, ყვირის ფელდმანი.
>
> — ნუ გეშინიანთ, ტალღას პირ-და-პირ გადავჭრით, ამშვიდებს ქალი და მარჯვენა ხელით ღონივრად თითქო ნიჩაბი მოუსვაო.
>
> ფელდმანი სკამიდამ იატაკზე ეცემა და ყვირის:
>
> — მიშველეთ! ვიღუპები!
>
> ქალიც მაშინვე იატაკზე დაეცა და ისე დაიწყო ხელების ქნევა, თითქო მართლა წყალში ცურაობსო; მერე ფელდმანს კისერში ხელი მაგრა წაავლო, საშინელის ძალით ასწია და ფეხზე წამოაყენა.
>
> — ახლა კი გადავრჩით!.. ეხლა ხომ დარწმუნდით, რომ მე კარგი ცურაობა მცოდნია, იკითხა ქალმა... მაგ-

---

რილნი სხვა-და-სხვა სასამართლოებში მოსამსახურე პირნი, თავად-აზნაურშვილნი, ჯარი და სხვ., რომელნიც თავიანთ საქმით არიან გართულნი და შავი-ქვის გადმოზიდვაში მონაწილეობას არ იღებენ. ამ გვარნი მცხოვრებნი შეადგენენ დაახლოვებით $^1/_{10}$ ნაწილს მთელის მაზრის მცხოვრებლებისას, ანუ 10968,5 სულს, ანუ 1,449 კომლს; მაშასადამე 109,685—10,968,5=98716,5; ანუ 14,490—1449=13,041 კომლს მიუღიათ ერთის წლის განმავლობაში 500,000 მ. შავი-ქვის გადმოსაზიდავად. თვითო სულს შეხვდებოდა 5 მ. 50 კ. ზედ ცოტა მეტი, ხოლო თვითო კომლს 38 მან. 30 კ.-ზედ ცოტა მეტი. ეს ფული საკმარისია სახელმწიფო ხარჯის დასაფარავადაც და თავიანთი მდგომარეობის ცოტად თუ ბევრად, ავად თუ კარგად, განსაკარგებლადაც.

თუმცა, სამწუხაროდ, ხელთ არა მაქვს წარსული წლების სტატისტიკა საქონლის რაოდენობაზედ, მაინც თამამად შემიძლიან ვთქვა, რომ 1885 წელში საქონლის რიცხვმა ერთი ოთხად, ერთი ხუთად იმატა. რომელ გლეხსაც კი ხარჯს გარდა, დარჩება ორიოდე გროში—ან ცხენს ყიდულობს, ან ხარს. ხშირად შავი-ქვის მრეწველნი ხელს უწყობენ გლეხებს, საქონლის სასყიდლად აძლევენ ფულს და გლეხი კაცი მოკლე ხნის განმავლობაში შავი-ქვის ჩამოტანით იშოვებს ვალს, გლეხს საქონელი რჩება და მუშაობს შემდეგაც.

ზემოდ მოყვანილ ციფრებიდამ ცხადად დაინახავთ, თუ ამდენ მიმომზიდავ ძალას, რამდენიც შორაპნის მაზრაშია, რა ცოტა ტვირთი გადმოუზიდნია. ამ საქონელს შეეძლო ორი იმდენის გადმოტანა, რაც შარშან გადმოზიდეს, აქ დავუმატებ, თუ რიგიანი გზები ყოფილიყო და იყოს, შეეძლოთ მიეღოთ 1,000,000 მ. თუ არა (კარგი გზები რომ იყოს ქირას 22 კაპ. არ მისცემდენ) 700,000—800,000 მანეთი მაინც. რკინის გზა რომ გაიყვანონ, მე მგონია, ეს ერთად-ერთი წყარო შემოსავლისა სრულიად მოესპობათ შორაპნელებს და სილარიბე ისევ თავის კუთხეებს მონახავს და დაიბუდებს, ისევ ჩვეულებრივ მოვლენად გარდაიქცევა, როგორც ამ რამდენისამე წლის წინად იყო. თუ მართალია კავკასიის კალენდარში მე-235 გვერდზედ მოყვანილი ცნობები, სილარიბე წარსულ წლებზედ ერთი სამად იმატებს. კავკასიის კალენდარი ამბობს: რიცხვმა იმატა, მაგრამ ისე შესამჩნევად არა, როგორც ჩრდილოეთ კავკასიაშიო. შემდეგ მაზრებს შეხვდათ ყველა მაზრებზედ მეტი % მცხოვრებთ გამრავლებისა: ჯიბრაილისა (36 %), შორაპნისა (32 %), რაჭისა (18 %).

თუ რკინის გზა გაიმართა, ქვას რკინის გზა გადმოზიდავს, მაშასადამე ძვირად ნაყიდი საქონელი დარჩებათ გლეხებს სავაგლახოდ; ან შიმშილით დაეხოცებათ ან არა და ნემსის ფასად უნდა გაჰყიდონ.

რკინის გზის მომხრეებს ერთი საბუთი-ღა აქვთ, რომლითაც მოინდომებენ თავის გამართლებას. უნდა მოგახსენოთ, რომ რკინის გაყვანით ვერც აქაური მრეწავი ისარგებლებს. ს. ჭიათურაში შავი-ქვა ახლა იყიდება 10 კ. ფუთი, იგებენ $1^1/_2$—2 კ. ის უცხოელები, რომელნიც დ. ზესტაფონში სხედან და შავ-ქვას ყიდულობენ, ს. ჭიათურაში გადასახლდებიან და იქ გააგრძელებენ თავიანთ აღებმიცემობას. რაკი ქვის ზესტაფონით გადმოტანა და ფულის დაბანდება საჭირო აღარ იქნება, ყველა წვრილფეხა ვაჭარი მადნებში იმუშავებს, ნამუშავარს ს. ჭიათურაში ჩამოიტანს და იქვე მიჰყიდის ჩარჩებს. წარმოება უეჭველია აღემატება მოთხოვნილებას, მაშასადამე ფასიც უნდა დააკლდეს. უნდა ესეც მოგახსენოთ, რომ სამზღვარ გარედ იმდენი როდი უნდათ, რამდენსაც მიიტანენ. წელიწადში დაახლოვებით 5,000,000 ფუთზე მეტი ჯერ არ უნდათ. ნუ დავივიწყებთ, რომ ევროპას თვითონაც აქვს მადნები, რომ ამერიკიდამაც მოაქვთ. აი ცნობები, თუ საიდამ რომელ სახელმწიფოში და რამდენი ფუთი შავი-ქვა გაუტან-შეუტანიათ. ხელთ მაქვს მხოლოდ 1884 წლის დაახლოვებითი ცნობა.

სად შეუტანიათ	საქართველოდამ გაუტანიათ ტონი	ისპანიიდამ გაუტანიათ ტონი	ამერიკიდამ გაუტანიათ. ტონი
ინგლისში	10,780*)	12,610	8,900
სულ		32,290	
გერმანიაში	6,400	5,800	5,300
სულ		17,500	
ბელგიაში	2,000	,,	6,500
სულ		8,500	

ზემოდ ხსენებულს სამს ქვეყანაში შეუტანიათ 58,290 ტონი, ანუ 3,672,270 ფუთი. ამ რიცხვიდამ საქართველოდამ გატანილია 19,180 ტონი, ისპანიიდამ 18,410 ტ. და ამერიკიდამ 20,700 ტ. რკინის გზის ცნობა კი ამბობს, რომ 1884 წ. საქართველოდამ 1,263,000 არის გატანილიო. დანარჩენი. 55,000 ფ. უეჭველია საფრანგეთში არის შეტანილი. მაშასადამე არც იმათ ექმნებათ მოგება, რომელნიც რკინის გზის გაყვანის მომხრენი არიან. მოიგებენ მხოლოდ უცხოელები, ე. ი. ისინი, ვინც პირ-და-პირ სამზღვარ გარედ ჰგზავნის და იქ ჰყიდის.

რკინის გზის მოსარჩლენი იტყვიან: «რკინის გზის გაყვანით, ხალხს გაუადვილდება და გაუიაფდება მიმოსვლა, დედა-მიწის ნაწარმოების გადმოტანა და გაყიდვა და სხვ. ამ გვარები». ამ გვარი აზრი მისაღებია და მოსაწონია მხოლოდ იქ და მაშინ, როდესაც იგი ეთანხმება ნამდვილს. ჩვენდა სამწუხაროდ, შორაპნის მაზრის მცხოვრებნი ვერ მოხნენ ამაზედ მეტს, რაც უხნავთ და რასაც ჰხნავენ. ვერ გააშენებენ ვენახებს იმაზედ მეტს, რაც აქვთ. მიზეზი ადგილის სიცოტავეა. თუ არ ეს მიზეზი, შორაპნის მაზრა ღარიბი არ იქნებოდა. მივმართოთ ისევ ციფრებს, ის უფრო ნათლად დაარღვევს შორაპნის მაზრაში რკინის გზის შტოს გაყვანის მომხრეების საბუთს.

მაზრების სახელები	სივრცე	მცხოვრებთა რიცხვი 1872—74 წლის კომერალ. აღწერით რიცხვი მცხ. ოჯახისა	 ერთ □ მილზე რამდენი სული მოდის
ქუთაისი	$3372,_4$	141,933	$2317,_7$*)
შორაპ.	$3052,_8$	109,685	$1978,_5$
რაჭისა	$5286,_4$	50,641	$528,_7$
ლეჩხუმს	$2313,_0$	35,160	$837,_0$

ამას მიუმატეთ უნაყოფო ნიადაგი და რკინის გზის გაყვანა შორაპნის მაზრაში.

ამის ასაცილებლად და შორაპნელების მდგომარეობის განსაკარგებლად საჭირო და სასარგებლოა ნაცვლად რკინის გზისა, გზა-ტკეცილის გაყვანა.

P. S. ეს შენიშვნა დაწერილი მქონდა, როცა «ივერიაში» წავიკითხე თქვენი აქაური კორრესპონდენტისაგან გამოგზავნილი შენიშვნა. «საჩხერეთის რკინის გზის შტოს გაყვანას მოუთმენლად მოელიან»-ო. დიაღ, მოუთმენლად მოელიან ისინი, ვინც არ იცის ცხვირ-წინ რა ხდება. მოუთმენლად მოელიან ისინიც, ვისაც ეკუთვნის «ჭალის» ხელ-შეუხებელი ტყეები. ესენი მოუთმენლად მოელიან იმ წამს, როდესაც თავიანთი ტყეების ნაცვლად დაინახვენ შიშველ-ტიტველ ადგილებს.

შეიძლებენ-ღა გაშიშვლებულის შემოსვას?.. ამისას ვიღა ჰფიქრობს.

განი·

---

*) აქ ნახმარია ინგლისის წონის ზომა—ტონი (62 ფ. 2 გ. 11 მისხ.)

*) ქუთაისის მაზრაში მცხოვრების რიცხვი შორაპნის მაზრ. მცხოვრების რიცხვს აღემატება.

□ მილზედ $339,_2$-იო. ნუ დავივიწყებთ, რომ თვით ქ. ქუთაისში ამისთანა სოფლებში, როგორიც, მაგალითად, ხონია, კულაში, ფარცხანაყანევი და სხვა 40,000 ს. სცხოვრობს.

რამ ამ დროს კეფაზე მაგნიტი მიაკარეს და ქალმა გაკვირვებით გარშემო ყურება დაიწყო.

— მაშ, თქვენ ახალ-გაზდა კაცი ხართ და მე ახალ-გაზდა ქალი?.. ჰკითხა ფელდმანმა.

— რას ამბობთ, ჰხუმრობთ! უპასუხა ქალმა.

კეფიდამ მაგნიტი მოაშორეს.

— დიახ, დიახ! მე ახალ-გაზდა კაცი ვარ... რა მშვენიერი, ტურფა რამ ხართ,—დაუწყო ქალმა ტრფიალება ფელდმანსა.

ფელდმანი პირველი არ არის, რომელიც ადამიანს ამ გვარად აძინებს და ძილში ალაპარაკებს და ამ გვარად ამოქმედებს. ეს მოვლენა დიდი ხანია შენიშნულია. ამ მოვლენას «ჰიპნოტიზმს» ანუ ჰიპნოტიურს ძილს ეძახიან. სამწუხაროდ, მეცნიერებას ჯერ დაწვრილებით ვერ გამოუკვლევია, რაში მდგომარეობს ეს მოვლენა და რა არის ამის მიზეზი.

ჰიპნოტიზმი ცოტათი შეიძლება თვალის გაშტერებას შევადაროთ. თუ კაცს თვალი გაუშტერდა, გარეშემოსი აღარა ესმის-რა. ჰკითხეთ რამე ამ დროს კაცსა: პასუხს კი მოგცემთ, მაგრამ თითონაც არ ახსოვს, ან რა ჰკითხეთ და ან რა პასუხი მოგცათ.

დამაკვირდი!

ბედნიერება კაცს თავის დღეში იმოდენად მაღლა არ აიყვანს, რომ მაინც მეგობრის ყოლა არ იყოს მისთვის საჭირო. (სენეკა)

⁂

რჯულის საქმეში უნდა დაარწმუნო და არა უბძანო. (მონტესკიე)

⁂

სისტემა ჭკუის მწურთნელია, სარწმუნოება — განმანათლებელი და ხელთმძღვანელია. (ვოლტერი)

⁂

კაცს მალე ჰსჯერა ან იგი, რის სურვილიცა აქვს, ან რისაც ეშინიან. (ბეკონი)

⁂

რჩევისათვის რამდენიმე თავია საჭირო, მოქმედებისათვის კი—ერთი. (ბუასტი)

⁂

ალექსანდრე მაკედონელის მამას ფილიპეს უთხრეს ერთხელ მეგობრებმა:

— ბერძნებს ამოდენა სიკეთე მიანიჭე, მაგრამ მაინც ავად გახსენებენო.

— აბა ახლა იფიქრეთ,—რამდენად უარესი იქნებოდა, რომ ცუდად მოვპყრობოდიო, უპასუხა თურმე ფილიპემ.

დეპეშა

6 ფებერვალს

ლონდონი. ინგლისის ბანკმა 3-დამ 2%-მდე დასწია თავისი დისკონტი.

ვენა. ვენგრიის მმართებლობა ნებას არ აძლევს, რომ ან ხალხი ან ფული მოჰკრიფონ სერბიაში ვენგრიელების ლეგიონის დასაარსებლად; მმართებლობამვე აღკრძალა, რომ ცხენები არ გაჰყიდონ ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში სამზღვარ-გარედ გასაყვანად.

ფილიპოპოლი. მთავარი ალექსანდრე კარავგლოვითურთ მობრძანდა აქ, მთავარმა ინახულა კონსულები და უთხრა: მე დარწმუნებული ვარ, რომ რუმელიის საქმე ჩქარა გადაწყდებაო და სერბიასთან ჩვენი მეგობრობა ჩქარა განახლდებაო.

კანეია. საფრანგეთის კონსულს სასტიკად ებრძანა, რომ არავითარს აღელვებას კანდიელებისას ოსმალეთის წინააღმდეგ ხელი არ შეუწყოსო.

ბერლინი. ჩერნაგორიის მთავარს ულაპარაკნია «Крестовая Газета»-ს თანამშრომელთან და სხვათა-შორის უბრძანებია: ჩემმა ყოფნამ პეტერბურგში სრულიად უსაფუძვლო ეჭვი გამოიწვიაო; ჩერნაგორია ყველა დიდ სახელმწიფოთა და მეტადრე ავსტრიასთან კარგად განწყობილია; ამასთანავე დიდნი სახელმწიფონი ისეთი მხურვალნი არიან მშვიდობიანობისა, რომ ომი შეუძლებელიაო.

ბუქარესტი. ბრატიანომ უკან წაიღო თავისი თხოვნა მინისტრობიდამ გადადგომის შესახებ.

7 ფებერვალს.

კახკა. იმიერ კასპიის რკინის გზა კახკამდე მოყვანილია, კახკაში გუშინ დროებით სტანცია გამართეს.

ლონდონი. გლადსტონმა ქვედა-პალატაში გამოაცხადა, რომ აღმოსავლეთის მდგომარეობა მეტად დიდს განსაცდელშიაო: რუმელიის საქმე ჯერ არ არის გათავებული და გათავების სიძნელეს აორკეცებს საბერძნეთის მოქმედებაო. ამიტომ მე გალად ვრაცხ ჩემს თავსაო გამოვაცხადო, რომ აწინდელი სამინისტრო სხვათა სახელმწიფოთა თანახმად იმოქმედებსო და წინანდელ სამინისტროს პოლიტიკას და კისრად აღებულს პირობას არ გადუდგებაო. ამ სახით იმედი მაქვსო ხელი მოვუმართო ევროპის მშვიდობიანობის დამყარებას და ერთა შორის მართლიერება დავიცვაო. ამისთანა პოლიტიკა საჭიროა თვით საბერძნეთის საკეთილ-დღეოთაო. გარეშე საქმეთა მინისტრმა როზბერიმ საპოლიტიკო ბანკეთზედ მიწვევის გამო წერილი დასწერა და წერილში გამოაცხადა, რომ ჩვენი მთავრობაო დაუღალავად ჰცდილობს მშვიდობიანობა და ევროპის თანხმობა არ დაირღვესო.

გლადსტონი დაინიშნა მცველად პატარა ბეჭდისა.

ათინა. ერთი ნაწილი ევროპის ესკადრისა ვოლოსთან გამოჩნდა.

ბელგრადი. ოსმალეთი ხელ-ახლად ითხოვს, რომ სერბია მალე მოურიგდეს ბოლგარიას და შეთოფიარაღების მიზეზი ახსნას. გადაწყვეტილს პასუხს სერბიისაგან დღეგახდელ დღეს მოელიან.

ბუქარესტი. თუმცა ოფიციალურად მოლაპარაკება აღარ მომხდარა, მაგრამ არა ვითარს დაბრკოლებას ჯერ ხანად არა ჰხედავენ და ხელ-შეკრულობაზედ ხელის მოწერას მოელიან იმაზედ ადრე, ვიდრე პაემნიან ზავის ვადა გავაო.

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპვ (1886) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7394**.

ძველი ინდიქტიონი მე-14.

ამისი ქორონიკონი — უოჱ=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4.

ამისი ქორონიკონი მბ=42 წელიწადია დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები—3,

ყველიერი მოდის 16 ფებერვალს, დიდ-მარხვა—23 ფებერვალს, აღდგომა—13 აპრილს, ამაღლება—22 მაისს, სულის-წმიდის მოსვლა—1 ივნისს, ამავ დღიდამ იწყობა პეტრე-პავლობის მარხვა. ეს მარხვა 1886 წელს 2 კვირით და 6 დღით არის.

ფებერვალი 28 დღით არის

4 დღე სამშაბათი. ღირსისა ისიდორესი, კირილესი და მთავ. გიორგისა. სომ. მეორე დღე მარხვისა არაჩავორაცი; კათ. ანდრია კორს. ეპ. მუსულმ. 13 დღე თვისა ჯემად-ულ-ეველ 1303 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუადღე 12—14—17; ტფილისში მზე ამოდის 6—54, ჩადის 5—34; მთვარე ამოდის 3—14; ჩადის 4—22 წთ.

5 დღე ოთხშაბათი. ქალწ. მოწ. ალათიასი კათ. ალათიასი მუსულმანთა: მიცვალება ალისა (სუნიტ. მოძღვარ.) ჭეშმარიტი შუადღე 12—14—13. ტფილისში მზე ამოდის 6—52; ჩადის 5—36. მთვარე ამოდის 4—20; ჩადის 5—15 წთ.

6 დღე ხუთშაბათი. ღირსისა ვუკოლე ეპ. ივლიანისა წმ. ქალწ. მოწ. მართასი და მარიამისა. კათ. დოროთისა. გავსება მთვარისა. ჭეშმარიტი შუადღე 12—14—8. ტფილისში მზე ამოდის 6—50; ჩადის 5—37. მთვარე ამოდის 5—47; ჩადის 6—4 წთ.

7 დღე პარასკევი. ღირსისა პართენი ეპ., ლუკასი და 1003 მოწამეთა. სომ. იონა წინასწარმ. კათ. რომუალდისა და კლოტილდისა. ჭეშმარიტი შუადღე 12—14—2. ტფილისში მზე ამოდის 6—49; ჩადის 5—38. მთვარე ამოდის 6—57; ჩადის 6—45 წთ.

8 დღე შაბათი. წმ. დიდ. მოწამისა თეოდორე სტრატილატისა, ზაქარია წინასწარმეტყველისა, სომ. წმ. სარქის სტრატილატისა, ძისა მის მარტიროზისა და 14 მხედართა. გახსნილება.

ბაქოს ხანი ჰუსეინ-ყული გამოვიდა ბაქოს ციხიდან თ. ციციანოვისათვის ქალაქის გასაღების მისართმევად. როცა ციციანოვმა ჩაიბარა გასაღები, უცებ მოკლულ იქმნა თ. პოდოლ. ერისთავითურთ ხანის მხლებელ სპარსელთაგან. ციხიდამ გამოცვივდნენ და ციციანოვი ასო-ასო დასჭრეს და თავი თან წაიღეს. ციციანოვის გვამი დამარხულია სიონში 1806 წ. ჭეშმარიტი შუადღე 12—13—55. ტფილისში მზე ამოდის 6—48; ჩადის 5—39; მთვარე ამოდის 8—9; ჩადის 7—25.

9 დღე კვირა. ცთომილ შვილი წმ. მოწამე ნიკიფორესი, კათ. აპოლონისა. ჭეშმარიტი შუადღე 12—13—48. ტფილისში მზე ამოდის 6—47; ჩადის 5—40. მთვარე ამოდის 9—15; ჩადის 8—13.

10 დღე ორშაბათი. წმ. მოწამე ხარლამპისა. სომ. წმ. ატომიანთი. კათ. სქოლასტიკისა და ირინესი. ჭეშმარიტი შუადღე 12—13—40. ტფილისში მზე ამოდის 6—46; ჩადის 5—42. მთვარე ამოდის 10—24 წთ. ჩადის 8—39.

გამოსადეგი ცნობანი.

მაზანდა.

1 იანვრიდამ 1-ლ თებერვლამდე.

რუსეთის ფქვილისაგან გამომცხვარი პური 1 გირვ.	5 კ.
ადგილობრივი პური 1-ლის ხარისხისა	2¼ „
„ „ 2 „	2 „
ჯვარის მამის პური თონისა და ლავაში 1-ლის ხარისხისა	4½ „
მე-2 ხარისხისა	3 „
მე-3 —	2½ „
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა	8 „
2 —	7 „
ჩალაღაჯი და ცალკე ამოჭრილი სუკი	14 „
ცხვრის ხორცი	8 „
ღორის ხორცი 1-ლის ხარისხ.	6 „
2-ის ხარისხ.	5 „

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუად. მოკლე გზით რადგან მარტო ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის. შორის გზით შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით; მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

მიმოსვლა რკინის გზისა.

ტფილისიდამ გადის ბათუმს 8 ს. და 35 წ. დ.
ბათუმიდამ მოდის — — 10 ს. და 25 წ. დ.
ბაქოში მიდის — — — 10 ს. და 45 წ. დ.
ბაქოდამ მოდის — — — 8 ს. ,, — ,, დ.

ტფილისსა და სურამ შუა.

ტფილისიდამ გადის — 3 ს. და 19 წ. დ.
სურამიდამ ტფ. შემოდის 8 ს. და 24 წ. დ.

მიმოსვლა ფოსტის ეკიპაჟთა:

ტფილისსა და კავკავ შუა.

პირდა-პირ მსვლელნი ღამით დაუდგომლად.

ტფილისიდამ გადის — 4 ს. ნაშუადღევს.
კავკავში შედის — — 5 ს. 15 წ.
კავკავიდამ გამოდის — 4 ს. 7 წ.
ტფილისში მოდის — 5 ს. 6 წ. 6—31 -

ღამე დგომით:

ტფილისიდამ გადის 8 ს. დილით.
კავკავში შედის — 5 ს. 11; 6—43 საღ.
კავკავიდამ გამოდის 9 ს დილით.
ტფილისში მომოდის 4 ს. 44; 5—25 საღ.

განცხადებანი.

ქ. ქუთაისს
დუბლაგის და კº კირის ქარხანაში
ისყიდება საუკეთესო კირი
ამ ფასად:

1 კუბიკური საჟენი წყალ-დაუსხმელის კირისა . . . . . 75 მ.
1 კუბიკური საჟენი წყალ-დაუსხმელისვე კირისა ვაგონში დადებით 78 მ.

მსყიდველების თხოვნისამებრ ამ ფასად კირი შეიძლება გაიგზავნოს ვაგონებით ქ. ტფილისს, ბათუმს, ფოთს და ამიერ-კავკასიის რკინისგზის ყველა სტანციებზე. გადასატანი ფასი მსყიდველმა რკინის-გზის მაზანდის მიხედულობით უნდა გამოგზავნოს.

ბათუმში კირის გასყიდვის აგენტად არის ბ-ნი ნ. შადინოვი; იქვე არის კირის საწყობი. (12—3)

17 თებერვალს, ორშაბათს დღეს
ტფილისის «კრუჟოკის» დარბაზში
იქნება გამართული:

ბალი

«ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» სასარგებლოდ.

მანდილოსანთ შეუძლიანთ დაესწრონ ბალს გულ-ამოუჭრელ კაბებითაც.

ბალი დაიწყობა ცხრა საათიდამ.

ბილეთების ფასი ორ-ორი მანათია.

ბილეთები ისყიდება შავერდოვის საგენტოში და «კრუჟოკის» შვეიცართან. (6—2)

ОТКРЫТА ПОДПИСКА
на 1886 годъ
НА ГАЗЕТУ
„НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“
(Ш ГОДЪ ИЗДАНІЯ).
выходитъ ежедневно, не исключая и понедѣльниковъ.

Газета въ 1886 году будетъ выходить подъ прежней редакціей по прежней программѣ, при участіи тѣхъ же сотрудниковъ.

подписная цѣна съ доставкой и пересылкой:

На 12 мѣсяцевъ	10 р. —к.	На 6 мѣсяцевъ	6 р. —к.
» 11 »	9 » 50 »	« 5 »	5 » 25 »
» 10 »	8 » 75 »	« 4 »	4 » 75 »
» 9 »	8 » — »	« 3 »	3 » 50 »
» 8 »	7 » 25 »	« 2 »	2 » 75 »
» 7 »	6 » 50 »	« 1 »	1 » 50 »

За границу на годъ 17 руб., на полгода 9 руб. 50 коп.

За перемѣну адресовъ уплачивается: иногороднаго на иногородный—40 к., городского на иногородный—1 руб.

Подписка принимается не иначе, какъ съ перваго числа каждаго мѣсяца.

Подписка и объявленія; на всѣхъ языкахъ, принимаются въ Тифлисѣ - въ конторѣ редакціи, при газетномъ агентствѣ Шавердова; въ Петербургѣ—въ книжномъ магазинѣ „Новаго Времени“. Иногородные адресуютъ свои требованія въ г. Тифлисъ, въ контору редакціи „Новаго Обозрѣнія“, при агентствѣ Шавердова.

Статьи и корреспонденціи адресуются въ Тифлисъ, въ редакцію «Новаго Обозрѣнія». Принятыя статьи могутъ подлежать сокращеніямъ и поправкамъ. Мелкія рукописи, размѣромъ не болѣе двухъ писанныхъ листовъ, не возвращаются. Прочія возвращаются по личнымъ требованіямъ авторовъ и сохраняются только въ теченіе одного мѣсяца. Ни въ какую переписку по поводу напечатанія или ненапечатанія присланныхъ статей редакція не входитъ. Статьи, доставленныя безъ опредѣленныхъ условій гонорара принимаются какъ безплатныя. Редакція открыта для личныхъ объясненій отъ часу до двухъ по полудни.

(9—6)

Дозволено цензурою Тифлисъ 6 февраля 1886 года
სტამბა ი. ხელაძის სტამბა სასახლის ქუჩაზე, საკუთარ სახლებში.
რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.